ნასყიდობის ხელშეკრულება

1. **მხარეები:**

1.1. გამყიდველი - შპს „ჯეონიუსტილი“ (ს/ნ 416329100) ;

1.2. მყიდველი - აუქციონში გამარჯვებული, ---------- (ს/ნ ----------)
(ვებ-გვერდი: www.eauction.ge, განაცხადის №: ----------, აუქციონის №:----------, ლოტის №: ----------) ;

1.3 კრედიტორი - შპს „სტარტაპ საქართველო“ (ს/ნ 404515468).

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. ამ ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული ფასი;

2.2. ქონებაზე არსებული გირავნობის უფლება შეწყდება 8.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით მას შემდეგ რაც მოხდება 2.1. პუნქტით განსაზღვრული პირობის ჯეროვნად შესრულება.

3. **გადასაცემი ქონება**

3.1. ქონებას წარმოადგენს შპს ----------ს (შემდგომში - „კომპანია“) ქონება: პოლისტიროლის ქაფის საწარმოო დანადგარი (იხ. აღწერილობა და სურათები დანართში).

4. **შეთანხმებული ფასი**

4.1. მყიდველი კისრულობს ვალდებულებას შეთანხმებული ფასი ---------- (---------) ლარის ოდენობით გადაიხადოს სრულად არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადისა, ამავე დროს მხარეების ადასტურებენ, რომ მყიდველის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა ითვლება შეთანხმებულ ფასში.

4.2. შეთანხმებული ფასის (აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის გარდა) გადახდა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორებით ქართულ ლარში, საქართველოს ბანკში კრედიტორის საბანკო ანგარიშზე **GE14BG0000000671957000** ჩარიცხვით.

5. **ქონების გადაცემა**

5.1. ქონების გადაცემა მოხდება ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტის შესაბამისად შეთანხმებული ფასის სრულად გადახდიდან (იგულისხმება კრედიტორის საბანკო ანგარიშზე თანხის ასახვის დღე) 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2. გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ქონებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

6. **ხელშეკრულების ხარჯები**

6.1.მყიდველს ეკისრება ამ ხელშეკრულების გაფორმების, შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციისა (მათ შორის სანოტარო) და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

7. **ქონების მდგომარეობა**

7.1. ქონება დატვირთულია გირავნობის უფლებით (გირავნობის ხელშეკრულება 04.11.2016წ. #20161101-5/01) კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, აღნიშნულის გარდა ქონება არ არის დატვირთული რაიმე სახის ვალდებულებით, ქონება არ არის სადავო, არ ადევს ყადაღა, ამ ხელშეკრულების დადებამდე გამყიდველის მიერ არ არის გაფორმებული რაიმე სახის ისეთი გარიგება მესამე პირთან (გარდა ზემოთ აღნიშნული გირავნობის ხელშეკრულებისა), რომელიც კრძალავს ამ ხელშეკრულების გაფორმებას ან/და საფრთხეს უქმნის მყიდველის კეთილსინდისიერ შემძენად აღიარებას.

7.2. ამ მუხლის და აუქციონის დოკუმენტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 7.1. პუნქტით დადგენილი გარანტია წარმოადგენს გამყიდველის ერთადერთ და ამომწურავ გარანტიას მყიდველთან მიმართებაში.

8. **მხარეთა განცხადებები და გარანტიები**

8.1. თითოეული მხარე აცხადებს და გარანტიას იძლევა რომ:

ა) მას შესაბამისი წესების დაცვით მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი ნებართვა და კორპორატიული თანხმობა ამ ხელშეკრულების დასადებად და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად;

ბ) ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები ნამდვილია, სავალდებულოა და აღსრულებადია ამ ხელშეკრულების პირობების და მოქმედი სამართლის შესაბამისად;

გ) აუქციონის პირობების შესაბამისად და ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მყიდველი ადასტურებს, რომ პრეტენზია ქონების ნაკლთან დაკავშირებით არ გააჩნია;

8.2. გამყიდველი აცხადებს, რომ ქონება დატვირთულია გირავნობის უფლებით მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად;

8.3 კრედიტორი აცხადებს, რომ აღნიშნული გირავნობის უფლებაზე გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციისთვის ელექტრონულ განცხადებას გადასცემს მყიდველს, კრედიტორის საბანკო ანგარიშზე მყიდველის მიერ ნასყიდობის შეთანხმებული ფასის სრულად ჩარიცხვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

8.4. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები აცხადებენ რომ მყიდველმა შეამოწმა ქონება, მისთვის ცნობილია უფლებრივი და ნივთობრივი მდგომარეობა და მყიდველს გამყიდველის მიმართ ამ კუთხით არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

8.5. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები აცხადებენ, რომ მხარეთა განცხადებები და გარანტიები სრულად ნამდვილია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი შეესატყვისება მხარეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას.

9. **დასკვნითი დებულებები**

9.1. ეს ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და მასთან დაკავშირებულ ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს ექსკლუზიურად განიხილავს მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლო.

9.2. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში, ბათილი, არაკანონიერი ან აღუსრულებადი ნაწილი უნდა ჩაითვალოს იმ მოცულობით შეცვლილად, რა ცვლილებაც საჭირო იქნება ამ

ნაწილის ძალის, კანონიერებისა და აღსრულებადობის აღსადგენად. თუ მსგავსი ცვლილება შეუძლებელია, შესაბამისი ნაწილი უნდა ჩაითვალოს წაშლილად.

9.4. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტილად ითვლება თუ მყიდველი არ გადაიხდის შეთანხმებულ ფასს დათქმულ ვადაში (4.1. პუნქტი). ავტომატური შეწყვეტის შედეგებს წარმოადგენს შემდეგი: გამყიდველი მოითხოვს მისთვის წარდგენილ საბანკო გარანტიების შესრულებას (აუქციონში მონაწილეობისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტიები) ან/და იტოვებს მისთვის გადახდილ საგარანტიო თანხას, ამავე დროს გამყიდველი უფლებამოსილი იქნება რაიმე შეზღუდვის გარეშე სხვა პირთან გააფორმოს ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტას არცერთ შემთხვევაში არ მოყვება მყიდველის მიერ წარმოდგენილი გარანტიების მოქმედების შეწყვეტა.

9.5. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები წარმოადგენს მხოლოდ დამატებას და არა ამომწურავ ჩამონათვალს იმ უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

9.6. ხელშეკრულება გაფორმებულია 3 (სამი) ეგზემპლარად, ყოველი მხარისთვის. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის განხორციელების დღიდან.

10. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

10.1. **გამყიდველი:** შპს „ჯეონიუსტილი“ ს/ნ 416329100	10.2. **მყიდველი:** შპს ----------“ ს/ნ ----------	10.3. **კრედიტორი** შპს „სტარტაპ საქართველო“ ს/ნ 404515468
---	---	---
წარმომადგენელი: - თანამდებობა: დირექტორი ხელმოწერის თარიღი:	წარმომადგენელი: - თანამდებობა: დირექტორი ხელმოწერის თარიღი:	წარმომადგენელი: - თანამდებობა: დირექტორი ხელმოწერის თარიღი: